სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 34

2016 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლვადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ზოგიერთი საგრანტო პროექტის მოხსნის შესახებ

,,2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 იანვრის N07 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის შესახებ პირობების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების ნინო დემეტრაშვილის და ლოლიტა შენგელიას სამსახურებრივი ბარათის (N201638; 26.02.2016წ.) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით გამოცხადებულ საგრანტო კონკურსიდან, კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული განაცხადები;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6)

მარინე ჩიტაშვილი

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 26 თებერვლის №34 ბრძანებით

N	შიფრი	ღონისძიების ტიპი (კონფერენცია/ კონგრესი/ ფორუმი/ სიმპოზიუმი/ სემინარი/ კონფერენციისწინა ღონისძიება)	ხარვეზის კომენტარი
1	TG_40_2_2016	გეომეცნიერებათა კავშირის გენერალური ასამბლეა-2016 /გეომეცნიერება	დარღვეულია კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, კერძოდ წარმოდგენილია მხოლოდ მოწვევის ქართული თარგმანი
2	TG_63_2_2016	მე-4 საერთაშორისო გეოგრაფიული სიმპოზიუმი	დარღვეულია კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, კერძოდ წარმოდგენილია მხოლოდ მოწვევის ქართული თარგმანი
3	TG_105_ 5 _2016	მეთორმეტე ყოველწლიური ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის კვლევის კონფერენცია	დარღვეულია კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, კერძოდ არ აქვს პერსონალური მოწვევა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზატორისგან და კონკურსანტის მიერ ორგანიზატორისათვის შეთავაზებული მოხსენების (ზეპირი, ან სასტენდო) პროგრამაში ჩასმის დადასტურების საბუთი.
4	TG_80_ 6 _2016	„ნავთობის ფასების გავლენა ცენტალური კავკასიის ქვეყანაზე - საქართველოზე“	დარღვეულია კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, კერძოდ წარმოდგენილია მხოლოდ მოწვევის ქართული თარგმანი
5	TG_88_ 7 _2016	„განტევების ვაცი“ რუსეთის კულტურასა და ისტორიაში“	დარღვეულია კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი, კერძოდ პუბლიკაციების გამოცემის თარიღები 5 წელზე მეტია
6	TG_27_ 4 _2016	43-ე საერთაშორისო კონგრესი ელექტროკარდიოლოგიაში	დარღვეულია კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, კერძოდ არ აქვს პერსონალური მოწვევა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზატორისაგან და კონკურსანტის მიერ ორგანიზატორისათვის შეთავაზებული მოხსენების (ზეპირი, ან სასტენდო) პროგრამაში ჩასმის დადასტურების საბუთი; კონფერენცია არის 3 დღიანი. ითხოვს სასტუმროს დაქირავების ხარჯს 5 დღეს, ნაცვლად 4 ისა.
7	TG_28_ 4 _2016	43-ე საერთაშორისო კონგრესი ელექტროკარდიოლოგიაში	დარღვეულია კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, კერძოდ არ აქვს პერსონალური მოწვევა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზატორისაგან და კონკურსანტის მიერ ორგანიზატორისათვის შეთავაზებული მოხსენების (ზეპირი, ან სასტენდო) პროგრამაში ჩასმის დადასტურების საბუთი; კონფერენცია არის 3 დღიანი. ითხოვს სასტუმროს დაქირავების ხარჯს 5 დღეს, ნაცვლად 4 დღისა.